



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმატიკა, ბაკალავრიატი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18.02.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინფორმატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	რუსული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	აზა ჭანტურია - კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქავთარაძე - შპს. MD at CertiGeorgia Ltd
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეაკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა „ინფორმატიკა“ (რუსულენოვანი) წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არსებული პროგრამის განახლებულ ვარიანტს, რომელსაც პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N465 გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია.

2012 წლიდან აღნიშნულმა პროგრამამ განიცადა რიგი შინაარსობრივი და სტრუქტურული ცვლილებები - მოხდა საგნების ჩანაცვლება, შეიცვალა საგნების მოცულობა კრედიტებსა და საკონტაქტო საათებში, პროგრამაში არსებული 10 მოდული შეიცვალა 4 კონცენტრაციად.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მოცულობითია და შეადგენს აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის 30% პროცენტზე მეტს. 2020-2021 სასწავლო წელს უნივერსიტეტის სწავლას „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმართავს ახალი რედაქციის პროგრამით, რომელსაც ჯერ არ აქვს მიღებული ხელახალი აკრედიტაცია.

ახალი რედაქციის პროგრამა ჩამოყალიბდა შემდეგვარად:

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS (1 კრედიტი = 25 სთ.), რომელიც განაწილებულია 8 სემესტრზე;

მათგან:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 150 ECTS (მათ შორის სპეციალობის სავალდებულო საწარმოო პრაქტიკა – 5 ECTS);
- ოთხი არჩევითი კონცენტრაცია – თითოეული 30 ECTS (მათ შორის სპეციალობის სავალდებულო საბაკალავრო პროექტის სასწავლო კურსი – 10 ECTS მოცულობით);
- სპეციალობის არჩევითი კურსები – 40 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტები – 20 ECTS.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შეირჩა ამავე დარგის ორი პროფესორი და ერთი სტუდენტი, რომელთა უნივერსიტეტში „ვირტუალური“ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 დეკემბერს Zoom პლატფორმის საშუალებით (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 27 ნოემბრის N1132233 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 11 დეკემბერს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2020 წლის 14 დეკემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე Online რეჟიმში ვიდეოჩართვით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება პირველ სტანდარტს, რადგან:

პროგრამის მიზნებში პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მაგრამ აქცენტები გაკეთებულია საინჟინრო ცოდნასა და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტაზე. არწერის მიხედვით პროგრამა იძლევა საინჟინრო ცოდნას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში. მითითებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებები რისი შესწავლითაც პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინფორმატიკის ბაკალავრი“ მიეკუთვნება ფართო სფეროს „06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები“, რომელიც არაა შეხებაში ინჟინერიასთან (ფართო სფერო „07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა“). აქედან გამომდინარე საინჟინრო ცოდნის მიცემა არ უნდა იყოს პროგრამის ერთერთი მთავარი მიზანი.

ასევე სწავლის შედეგებში აქცენტი გაკეთებულია საინჟინრო ცოდნასა და უნარებზე: „შესძინოს კურსდამთავრებულს ტექნიკური, საინჟინრო ცოდნა და უნარები ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში წარმატების მისაღწევად“.

სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომელშიც საერთო დებულებებით აღწერილია ეს პროცესები. ამ დოკუმენტის საფუძველზეა შექმნილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, რომელიც მეტწილად წარმოადგენს „**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს**“ ამონარიდებს, ზოგადი სახისაა და არ ითვალისწინებს პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას. სწავლის შედეგების შესაფასებლად მოიაზრებს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომს. მითითებულია, რომ „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს“, მაგრამ გაურკვეველია რა იგულისხმება „პროგრამის დასრულებაში“. არაა მითითებული ვინ აგროვებს და ვინ აფასებს მონაცემებს, ვინაა პასუხისმგებელი. წარმოდგენილი დოკუმენტი „ფორმალურის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეორე სტანდარტს**, ვინაიდან:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არსებული სახით ინფორმაციის ხელმისაწვდომია მაგრამ, მოკლედ წარმოდგენილი ჩანაწერი პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს არ აძლევს სრულ სურათს, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სტუდენტთა 55% პროცენტს შეადგენს. არაა მითითებული რაიმე კონკრეტული მოთხოვნები საგნების მიმართ - სავალდებულოება ან/და ქულობრივი ზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა რუსულენოვანია არაა მითითებული რუსული ენის ცოდნის მოთხოვნა. ასევე საჭიროა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოითხოვს პირობების და პროცედურების დაზუსტებას. დაინტერესებულმა პირმა უნდა მოიძიოს ის კანონები, რომელის აღწერს სრულ პროცედურას ან/და უნდა დაუკავშირდეს ფაკულტეტის (უნივერსიტეტის) წარმომადგენელს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

- ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რიგი საგნების (კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა, ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძველები, მწვანე კომპიუტინგი, ნივთების ინტერნეტი) არსებობის აუცილებლობა სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გაურკვეველია მაშინ, როცა დარგის ფუნდამენტურ დისციპლინებს, როგორცაა მონაცემთა სტრუქტურები, ალგორითმები და დაპროგრამების ენები ეთმობათ პირველი ორის შემთხვევაში ერთად 6, ხოლო მესამეს 6 კრედიტი.
- პროგრამა რუსულენოვანია და მსმენელთ 55% უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ასევე პროგრამაზე სწავლობენ ქართული ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეები. პროგრამაში ქართული ენა ქარმოდგენილია 5 კრედიტიანი თავისუფალი არჩევითი საგნით, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ქართული ენის არმცოდნე სტუდენტი აირჩევს ამ საგანს ან ამ მოცულობით შესძლებს თუნდაც მინიმალური საკომუნიკაციო დონის ცოდნის მიღებას. როგორც სტუდენტებთან გასაუბრებით გაირკვა ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებს ექმნებათ დასაქმების პრობლემა. ასეთი სტუდენტებისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები.

სასწავლო კურსებიში:

- სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო

ინფორმაციით, თუმცა რიგ სილაბუსებში მითითებულია ძალიან მოძველებული ლიტერატურა (მაგ. საინჟინრო მათემატიკა - ლიტერატურა 1972, 1975 წლის, საგანში კომპიუტერული უნარები სადაც ოფისის 2016, 2019 ვერსიებზეა საუბარი - სახელმძღვანელო 2013-ისა).

- რიგი სასწავლო კურსების სათაური ზუსტად არ ასახავს შინაარსს. ასე მაგ. საგანი „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“ აღწერს კონკრეტულ პროგრამულ გრაფიკულ პაკეტს და მის გამოყენებას, მაშინ როცა კომპიუტერული გრაფიკა თავისი შინაარსით წარმოადგენს მათემატიკური მოდელირებისა და დაპროგრამების ნაერთს. ამასთან ბუნდოვანია ამ საგნის სავალდებულო საგანთა ნუსხაში არსებობა. იგი არ წარმოადგენს რაიმე ძირითადი დისციპლინის შესწავლის წინაპირობას. საგანი „შესავალი მონაცემთა ბაზებში და გამოყენებებში“ რეალურად წარმოადგენს MS Access-ის შესწავლას; საგანი „მწვანე კომპიუტინგი“, რომელიც ასევე წარმოადგენს ძირითად საგანს, 90% ეკოლოგიური საკითხების განხილვას მოიცავს ნაკლებადაა განხილული ინფორმატიკის საკითხები.
- პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენილია „საწარმოო პრაქტიკა“, რომლის მოცულობაა 5 კრედიტი (125 საათი), ამათგან მხოლოდ 45 საათი წარმოადგენს პრაქტიკას ობიექტზე. 78 საათი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას. გაურკვეველია რაში გამოიხატება დამოუკიდებელი მუშაობა ან რამდენადაა საკმარისი 45 საათი სილაბუსში აღწერილი მიზნების მისარწევად. ასევე არაცხადია სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სარგებლიანობა სხვადასხვა პროფილის პრაქტიკის ობიექტების არსებობისას. შედეგის მისარწევად უნდა გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ყოფნის დრო და ლიტერატურის განსაზღვრა დამოკიდებული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტზე.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს**, ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს**, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს**, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ უნივერსიტეტს გააჩნია დებულებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, ზოგადი სახისაა არაა განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში სამიზნე ნიშნულებთან კავშირი შეფასების პროცესის პერიოდულობას, შედეგების ანალიზის მეთოდი და ქმედებების პროცედურები. გამოკითხვის წარმოდგენილი შედეგები ასახავს ერთი კონკრეტული წლის შედეგს და არ იძლევა დინამიურ სურათს რამოდენიმე წლის მაგალითზე. შესაბამისად იმის თქმა, რომ პროგრამა ვითარდება ან პირიქით შეუძლებელია.

- **რეკომენდაციები**
 - პროგრამის მიზნების აღწერაში საინჟინრო ცოდნა ჩანაცვლდეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცოდნით.
 - სწავლის შედეგებში აქცენტი საინჟინრო მეცნიერების ნაცვლად გადავიდეს ინფორმატიკის ან საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნდამენტურ ცოდნაზე.
 - დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით;
 - განისაზღვროს პროგრამის სწავლების ენის - რუსულის მოთხოვნის დონე;
 - დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
 - ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები.
 - დაზუსტდეს გარე შეფასების პროცესის პერიოდულობა, შედეგების ანალიზის და ქმედებების პროცედურების;
 - ზუსტად აღიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პერიოდულობა, მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პროცედურა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - საგნები კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა, ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები, მწვანე კომპიუტინგი, ნივთების ინტერნეტი უმჯობესია გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკებში.
 - განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
 - მოხდეს საგნების სათაურის და შიგთავსის სინქრონიზაცია
 - საწარმოო პრაქტიკაში დაემატოს ობიექტზე ყოფნის საათები
 - სასურველია დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რეაკრედიტაციისათვის წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეინარჩუნონ და განივითარონ

- შესძინოს კურსდამთავრებულს ტექნიკური, საინჟინრო ცოდნა და უნარები ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში წარმატების მისაღწევად;
- მოამზადოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება ინფორმაციული სისტემების, IT ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული და ჩაშენებული სისტემების, პროგრამული დეველოპმენტის რთული საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტა;
- შესძინოს კურსდამთავრებულს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგის მეთოდების და ინსტრუმენტების სხვა დარგებში ეფექტურად გამოყენების უნარი.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მაგრამ აქცენტები გაკეთებულია საინჟინრო ცოდნასა და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტაზე. არწერის მიხედვით პროგრამა იძლევა საინჟინრო ცოდნას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში. მითითებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებები რისი შესწავლითაც პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინფორმატიკის ბაკალავრი“ მიეკუთვნება ფართო სფეროს „06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები“, რომელიც არაა შეხებაში ინჟინერიასთან (ფართო სფერო „07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა“). აქედან გამომდინარე საინჟინრო ცოდნის მიცემა არ უნდა იყოს პროგრამის ერთერთი მთავარი მიზანი.

პროგრამის მიზნების აღწერაში ყურადღება უნდა გამახვილდეს არა საინჟინრო ცოდნაზე არამედ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცოდნაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი).
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების აღწერაში საინჟინრო ცოდნა უნდა ჩანაცვლდეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცოდნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერის შესაბამისად სწავლების შედეგები მოცემულია 9 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც კურსდამთავრებული:

- გაიაზრებს და აცნობიერებს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო მეცნიერებების, ტექნოლოგიებისა და მათემატიკის ფუნდამენტური თეზისების ცოდნას, რომლებსაც იყენებს სპეციალობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრისათვის;
- განსაზღვრავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგის ამოცანათა ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს პროგრამულ-აპარატურული უზრუნველყოფების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის უახლეს ასპექტებს;
- ახდენს სხვადასხვა სფეროში თეორიული და პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებასა და ანალიზს;
- ახდენს პრობლემის გადაჭრას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, პროგრამული და აპარატურული საშუალებების გამოყენებით;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აპროექტებს და ახორციელებს ინფორმაციულ სისტემებს, IT ინფრასტრუქტურას, პროგრამულ პროდუქტებს, კომპიუტერულ და ჩაშენებულ სისტემებს;
- ახდენს პროგრამული და აპარატურული, პროგრამულ-აპარატურული საშუალებების და სისტემების გამართვას, სერვისულ მომსახურებას და ადმინისტრირებას;
- კონტექსტის შესაბამისი ფორმებით, ახდენს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ;
- ჯგუფურ და მულტიდისციპლიურ კოტექსტში, ეფექტურად მართავს განვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიულ საქმიანობას;
- ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად განსაზღვრავს და გეგმავს შემდგომი სწავლის საჭიროებას.

შინაარსობრივად ისინი აღწერენ იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც ინფორმატიკის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს დარგის იმ არეებში, რომელიც მოცემულია პროგრამის მიზნებში (ინფორმაციული სისტემები, IT ინფრასტრუქტურა, პროგრამულ პროდუქტები, კომპიუტერული და ჩაშენებული სისტემები). ერთერთი მთავარი აქცენტი გაკეთებული საინჟინრო ცოდნაზე, რაც არ შეესაბამება იმ სფეროს რაშიც მოიაზრება პროგრამა.

ასევე სწავლის შედეგებში აქცენტი გაკეთებულია საინჟინრო ცოდნასა და უნარებზე: „შესძინოს კურსდამთავრებულს ტექნიკური, **საინჟინრო ცოდნა და უნარები** ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში წარმატების მისაღწევად“.

უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილება #01-05-04/01 დანართი 1), რომელშიც საერთო დებულებებით აღწერილია ეს პროცესები მაგრამ არაა ცხადი სახით წარმოდგენილი თუ რა მონაცემები გამოიყენება სწავლის შედეგების გასაზომად. საუბარია მონიტორინგზე (წესის თავი V), მაგრამ არაა საუბარი მონიტორინგის პერიოდულობაზე. ასევე აღწერილია მთელი რიგი შესაძლებელი ცვლილებები მონიტორინგის საფუძველზე, მაგრამ არაა კონკრეტულად საუბარი თუ რა

სამიზნე ნიშნულება განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაფასებლად და რა შემთხვევაშია დასაშვები ეს ცვლილებები.

ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, რომელიც მეტწილად წარმოადგენს „**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო**“ ამონარიდებს, ზოგადი სახისაა და არ ითვალისწინებს პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას. სწავლის შედეგების შესაფასებლად მოიაზრებს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომს. მითითებულია, რომ „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს“, მაგრამ გაურკვეველია რა იგულისხმება „პროგრამის დასრულებაში“. არაა მითითებული ვინ აგროვებს და ვინ აფასებს მონაცემებს, ვინაა პასუხისმგებელი. წარმოდგენილი დოკუმენტი „ფორმალურის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის შეფასების პერიოდულობა და შედეგების ანალიზის და ანალიზის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედებების წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილება #01-05-04/01 დანართი 1
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა.
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგებში აქცენტი ინჟინერიის ნაცვლად გადავიდეს ინფორმატიკის ან საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნაზე;
- მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის შეფასების პერიოდულობა და შედეგების ანალიზის და ანალიზის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედებების წესები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

პროგრამის არწერაში პროგრამაზე დაშვების პირობა წარმოდგენილია ზოგადი ფრაზით: ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<p>არსებული სახით ინფორმაციის ხელმისაწვდომია მაგრამ, მოკლედ წარმოდგენილი ჩანაწერი პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს არ აძლევს სრულ სურათს, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სტუდენტთა 55% პროცენტს შეადგენს. არაა მითითებული რაიმე კონკრეტული მოთხოვნები საგნების მიმართ - სავალდებულოება ან/და ქულობრივი ზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა რუსულენოვანია არაა მითითებული რუსული ენის ცოდნის მოთხოვნა. ასევე საჭიროა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოითხოვს პირობების და პროცედურების დაზუსტებას. დაინტერესებულმა პირმა უნდა მოიძიოს ის კანონები, რომელის აღუწერს სრულ პროცედურას ან/და უნდა დაუკავშირდეს ფაკულტეტის (უნივერსიტეტის) წარმომადგენელს.</p> <p>საჭიროა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების უფრო მკაფიოდ და ცალსახად ჩემოყალიბება რომელიც დაეფუძნება პროგრამის სპეციფიკას და უფრო გაზრდის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ ვებ-გვერდი https://gtu.ge/Im/Edu-Programs/bachelor.php
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით; • განისაზღვროს პროგრამის სწავლების ენის - რუსულის მოთხოვნის დონე; • დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ზრდადია. ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასთან.

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS (1 კრედიტი = 25 სთ.), რომელიც განაწილებულია 8 სემესტრზე;

მათგან:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 150 ECTS (მათ შორის სპეციალობის სავალდებულო საწარმოო პრაქტიკა – 5 ECTS);
- ოთხი არჩევითი კონცენტრაცია – თითოეული 30 ECTS (მათ შორის სპეციალობის სავალდებულო საბაკალავრო პროექტის სასწავლო კურსი – 10 ECTS მოცულობით);
- სპეციალობის არჩევითი კურსები – 40 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტები – 20 ECTS.

რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ზოგადი სახისაა ზუსტი შეფასება, იმისა ითვალისწინებს თუ არა პროგრამის შინაარსი პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, გამწვანებულია, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არაა მითითებული პროგრამაზე სწავლების ენის ცოდნის დონის მოთხოვნა. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რიგი საგნების (კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა, ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები, მწვანე კომპიუტინგი, ნივთების ინტერნეტი) არსებობის აუცილებლობა სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გაურკვეველია მაშინ, როცა დარგის ფუნდამენტურ დისციპლინებს, როგორცაა მონაცემთა სტრუქტურები, ალგორითმები და დაპროგრამების ენები ეთმობათ პირველი ორის შემთხვევაში ერთად 6, ხოლო მესამეს 6 კრედიტი.

სასწავლო პროგრამაში უნდა გაიზარდოს მონაცემთა სტრუქტურების, ალგორითმების და დაპროგრამების ენების მოცულობა, ხოლო საგნები კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა, ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები, მწვანე კომპიუტინგი, ნივთების ინტერნეტი უმჯობესია გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკებში.

პროგრამა რუსულენოვანია და მსმენელთ 55% უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ასევე პროგრამაზე სწავლობენ ქართული ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეები. პროგრამაში ქართული

ენა ქარმოდგენილია 5 კრედიტიანი თავისუფალი არჩევითი საგნით, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ქართული ენის არმცოდნე სტუდენტი აირცევს ამ საგანს ან ამ მოცულობით შესძლებს თუნდაც მინიმალური საკომუნიკაციო დონის ცოდნის მიღებას. როგორც სტუდენტებთან გასაუბრებით გაირკვა ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებს ექმნებათ დასაქმების პრობლემა. ასეთი სტუდენტებისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუ საგნის პედაგოგებთან

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამაში უნდა გაიზარდოს მონაცემთა სტრუქტურების, ალგორითმების და დაპროგრამების ენების მოცულობა;
- ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგნები კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა, ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები, მწვანე კომპიუტინგი, ნივთების ინტერნეტი უმჯობესია გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით, თუმცა რიგ სილაბუსებში მითითებულია ძალიან მოძველებული ლიტერატურა (მაგ. საინჟინრო მათემატიკა - ლიტერატურა 1972, 1975 წლის, საგანში კომპიუტერული უნარები სადაც ოფისის 2016, 2019 ვერსიებზეა საუბარი - სახელმძღვანელო 2013-ისა).

რიგი სასწავლო კურსების სათაური ზუსტად არ ასახავს შინაარსს. ასე მაგ. საგანი „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“ აღწერს კონკრეტულ პროგრამულ გრაფიკულ პაკეტს და მის გამოყენებას, მაშინ როცა კომპიუტერული გრაფიკა თავისი შინაარსით წარმოადგენს მათემატიკური მოდელირებისა და დაპროგრამების ნაერთს. ამასთან ბუნდოვანია ამ საგნის სავალდებულო საგანთა ნუსხაში არსებობა. იგი არ წარმოადგენს რაიმე ძირითადი დისციპლინის შესწავლის წინაპირობას. საგანი „შესავალი მონაცემთა ბაზებში და გამოყენებებში“ რეალურად წარმოადგენს MS Access-ის შესწავლას; საგანი „მწვანე კომპიუტინგი“, რომელიც ასევე წარმოადგენს ძირითად საგანს, 90% ეკოლოგიური საკითხების განხილვას მოიცავს ნაკლებადაა განხილული ინფორმაციის საკითხები.

პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენილია „საწარმოო პრაქტიკა“,

რომლის მოცულობაა 5 კრედიტი (125 საათი), ამათგან მხოლოდ 45 საათი წარმოადგენს პრაქტიკას ობიექტზე. 78 საათი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას. გაურკვეველია რაში გამოიხატება დამოუკიდებელი მუშაობა ან რამდენადაა საკმარისი 45 საათი სილაბუსში აღწერილი მიზნების მისარწევად. ასევე არაცხადია სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სარგებლიანობა სხვადასხვა პროფილის პრაქტიკის ობიექტების არსებობისას. შედეგის მისარწევად უნდა გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ყოფნის დრო და ლიტერატურის განსაზღვრა დამოკიდებული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
- მოხდეს საგნების სათაურის და შიგთავსის სინქრონიზაცია
- საწარმოო პრაქტიკაში დაემატოს ობიექტზე ყოფნის საათები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო პროექტებში ჩართვას.

პროგრამაში შემავალი კურსები ითვალისწინებენ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების და დავალებების შესრულებით, ასევე სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ძირითად სასწავლო კურსად „საწარმოო პრაქტიკა“. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას; მიუხედავად მცირე მოცულობის საათებისა პრაქტიკა გარკვეულწილად აძლევს საშუალებას განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებით, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მის ადაპტაციას, სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშებას და ახალი კომპეტენციების გამომუშავებას, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. სასურველია გადაიხედოს და, შეძლებისდაგვარად, დარეგულირდეს სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობის საათები - უმჯობესია, მეტი საათი დაეთმოს ამ მიმართულებას, რათა სტუდენტმა უკეთ შეძლოს სამუშაო სივრცეში ადაპტირება, მაქსიმალურად გამოიყენოს/წარმოაჩინოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა.

დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო პროექტი, რომლის მიზანია სტუდენტებმა შეიძინონ საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევის უნარები, შეძლონ განახორციელონ ლიტერატურის მოპოვება და ანალიზი, მოახდინონ მოპოვებული მონაცემების ანალიზი, სინთეზი, შედარება.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვას. ამ მიმართულებით ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);

<ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება; ○ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი; ○ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გაიზარდოს საწარმოო პრაქტიკაში სტუდენტების ობიექტზე ყოფნის დრო.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
